




## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### „ვაჟას წყარო“

„ვაჟას წყარო“, ნახშირორჟანგიანი ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული კალციუმ-ნატრიუმის სამკურნალო მინერალური წყალი. საბადო მდებარეობს დუშეთის მუნიციპალიტეტში, ფშავის არაგვის ხეობაში, მდ. ჩარგლულის შესართავთან, ადგილ. მნიშვნელობის კურორტ ვაჟასწყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე. მინერ. წყალი განლაგებულია იურულ-ცარცული ასაკის კარბონატული ქანების ნაპრალოვან ზოლში. საბადოს ჯამური მარაგი (დებიტი) არის 229 მ<sup>3</sup>/დღ-ღ. წყლის ქიმ. შედგენილობა:



ტემპ-რა 11-12°C. მაღალი მინერალიზაციის წყალს (M - 12-22 გ/ლ) სეზონურად იყენებენ აბაზანების მისაღებად (წყალს ათბობენ 37-38°C-მდე), დაბალი მინერალიზაციისას (M - 4-12 გ/ლ) - სასმელ-სამკურნალოდ. წყალს იყენებენ ძირითადად საჭმლის მომწელებელი ორგანოების დაავადებათა - ქრონ. გასტრიტის, კოლიტის, პანკრეატიტის, კუჭისა და თორმეტგოჯას წყლულოვანი დაავადების,

ღვიძლის ქრონ. დაავადებების, ნივთიერებათა ცვლის ბოგიერთი მოშლილობისა და სხვათა სამკურნალოდ.

**ტ. ჩიჩუა**

**ვ. ჯალიაშვილი**